ხაშურის მოამბე

№20(344) 6 ივნისი, ორშაბათი, 2022 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

2 ივნისს, გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი..

სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა, დაამტკიცეს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა. ამის შემდეგ, დეპუტატებმა, შექმნეს დროებითი სამუშაო ჯგუფი, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამჟამად არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული ფუნდამენტური შრომის უფლების უკეთ რეალიზების, ცენტრალურ დონეზე დასაქმების ხელშეწყობის მხ-

არდაჭერისა და შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, მიზანშეწონილია დამატებით, ადგილობრივ დონეზე, შემუშავდეს შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა, რისთვისაც საჭიროა დადგინდეს(შესწავლილ იქნეს) პროგრამაში მონაწილე პირების სტატისტიკური მონაცემების ბაზა, სამუშაო ბაზრისთვის მათი საჭირო უნარ-ჩვევები, სწავლებები, გადამზადება და სხვა საჭიროებები. სამუშაო ჯგუფს დაევალა ამ საკითხზე, მუნიციპალური პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით, 3 თვის ვადაში წარმოადგინოს დასკვნა.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრებმა, კენჭი უყარეს და თანხმობა მისცეს ფლევის საჯარო სკოლისთვის ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭებას.

სხდომის ბოლოს, მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში,

რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2021 წელს, მუნიციპალიტეტის მიერ, გამოცხადებული იყო 160 ტენდერი, საიდანაც 96 დასრულდა დადებითი შედეგით და გაფორმდა ხელშეკრულებები. 53 ტენდერი არ შედგა, 7 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ოთხი კი შეწყდა. შემდგარი ტენდერების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 16 მილიონ 598 554 ლარს, გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება-13 მილიონ 214 005 ლარს, ეკონომიამ კი შეადგინა 3 მილიონ 384548 ლარი.

საკრებულოს წევრებმა, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობა, მსჯელობის შემდეგ, დადებითად შეაფასეს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს გასვლითი სხდომა წაღვლში

28 მაისს, ე.წ. გამყოფი ხაზისპირა სოფელ წაღვლის საჯარო სკოლაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მორიგი გასვლითი სხდომა გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, მერის წარმომადგენელი წაღვლის ადმინისტრაციულ ერთეულში ვაჟა ლომიძე, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ელენე რუსეცკაია და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. სხდომა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა გახსნა. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს მიმართვას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურისადმი, მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობის პროცესში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, გენდერულ საკითხებზე

განსახორციელებელი აქტივობებისა და სხვა საორგანიზაციო ხარჯებისათვის, 2023 ბიუჯეტში, თანხის გათვალისწინების შესახებ. სხდომის ჩატარება სოფელ წაღვლში გადაწყდა, რადგანაც მთავარ მიზანს წარმოადგენდა ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა, კონფლიქტებზე დროული რეაგირებისა და მათი პრევენციის ხელშესაწყობად. მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა ნინო სუხიაშვილმა მიმოიხილა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ. გამყოფი ხაზისპირა სოფლებში ქალის როლზე საფრთხეების და კონფლიქტების მოგვარებისას, მომხსენებით გამოვიდა ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე. ბირთვული საფრთხის დროს თავდაცვის საკითხებზე ისაუბრა ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ-პროფესორმა თორნიკე ქიმერიძემ. საბჭოს წევრებს დაურიგდათ შესაბამისი ბუკლეტები. დღევანდელი სხდომის ერთ-ერთი მთავარი თემა ქალთა მიმართ ძალადობა იყო. თემაზე სასაუბროდ მოწვეულები იყვნენ შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელი მაია წკრიალაშვილი და ფსიქოლოგი რობერტ ქოჩიშვილი. საზოგადოებისა და მედიის როლზე ძალადობის წინააღმდეგ ისაუბრა ქალთა საინფორმაციო ცენტრის ექსპერტმა მამუკა გაჩეჩილაძემ. ბანერებით: „არა ქალთა მიმართ ძალადობას!“, „ნამდვილი მამაკაცი ქალზე არ ძალადობს!“ „დუმილი დანაშაულია! ჩვენ არ გავჩუმდებით!“ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა გააპროტესტეს ქალთა მიმართ ძალადობა და თბილისის საქალაქო ტრანსპორტში მომხდარი ფემიციდის ფაქტი. სხდომის ბოლოს, ნინო ლიპარტელიანმა და ელენე რუსეცკაიამ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ქალთა საინფორმაციო ცენტრს შორის

ქალები პოლიციის ფორმით

(წერილი იბეჭდება ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გაზეთ „ხაშურის მოამბის“ ერთობლივი პროექტის -„თანასწორობის“ ფარგლებში).

ლანა ბოღიშვილმა და თამარ ბარბაქაძემ ერთმანეთი შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ხაშურის განყოფილებაში გაიცნეს, კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში.

სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, როდესაც, ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურში შემოსულებს ბარიერთან მორიდებულად მომღიმარი, ახალგაზრდა ფორმაში გამოწყობილი ქალბატონი დაგვხვდა, მეორე დღეს - მეორე ქალბატონი, ისიც გვიღიმოდა და ჩვენს საპასუხო ემოციას მოუთმენლად ელოდა.

ჩვენი რეაქცია, რა თქმა უნდა, პოზიტიური იყო, ძალიან გაგვიხარდა და სულაც არ გაგვკვირვებია. საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული მეტი ქალი დღეს ხომ სახელმწიფო მიდგომაცაა და რეალობაც, რომ ქალებმა ყველა სფეროში წარმატებებს მიაღწიეს.

ლანას და თამარის პირადი ისტორიები ერთმანეთს ჰგავს, ორივესთვის პოლიციელობა და პოლიციელის ფორმა ბავშვობიდან პატრიოტიზმთან ასოცირდებოდა, თამარს მამა სკოლის დამთავრების შემდეგ, სამხედრო აკადემიაში ჩაბარებას სთხოვდა, თხოვნა ვერ შეუსრულა, მაგრამ დაცვის პოლიციის თანამშრომელი გახდა. ლანას პოლიციელის პროფესია ყოველთვის იზიდავდა, ბედნიერია, რომ მეუღლე და ოჯახი წუთითაც არ შეწინააღმდეგებია ოცნების განხორციელებაში. ორივეს გაუმართლა იმაშიც, რომ დაცვის სამსახურში ვაკანსია გაჩნდა და ქალბატონების განაცხადიც დაკმაყოფილდა. დღეს

სრულყოფილ, საზოგადოებისთვის საჭირო ადამიანებად მიაჩნიათ თავი, უხარიათ სამსახურში მოსვლა, აქ სითბოს, სიყვარულს ახვედრებენ, თავადაც გამოხატავენ იგივეს. არ დამალეს თავიანთი განსაკუთრებული პატივისცემა საკრებულოს თავმჯდომარის ნინო ლიპარტელიანის მიმართ, ძალიან ყურადღებიანი და მოსიყვარულეაო, გაგვენდნენ.

კიდევ გვყავს პოლიციელი ქალბატონი სურამის პოლიციის განყოფილებაში - ქეთევან ხარაზიშვილი, ის 2005 წლიდან მუშაობს სისტემაში, არის პოლიციის მაიორი, უბნის უფროსი ინსპექტორ - გამომძიებელი. იმ პერიოდისთვის ქალის პოლიციელობა შედარებით უცხო ხილი იყო, როგორც ქეთი აღნიშნავს, თავიდან გაოცებას ვერ მალავდნენ ვერც კოლეგები, ვერც მოქალაქეები, ოჯახიდან მამამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა, უფრო მეტიც, შვილის ამ გადაწყვეტილებას სიხარულით შეხვდა.

ქეთევანი დასაოჯახებელია, ლანა და თამარი - დაოჯახებული, ჰყავთ მეუღლეები და ორ - ორ შვილსაც უზრდიან სამშობლოს.

ვულოცავთ მათ ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს და ბევრ წარმატებას ვუსურვებთ.

პ.ს. 31 მაისს პოლიციელის პროფესიული დღე აღნიშნა. ხაშურის მუნიციპალიტეტის დაცვის პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა.

ირინა გოცირიძე

მუნიციპალიტეტის მერი გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს შეხვდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი კოტე ფრუიძე ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ წაღვლში მცხოვრებ პატარებს შეხვდნენ და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს.

ბავშვთა დღესთან დაკავშირებით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში - წაღვლსა და ჩორჩანაში მცხოვრები 11-15 წლის ბავშვები მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით და კავეას კინოთეატრებთან პარტნიორობით „კავეა ისტ პოინტში“ 3 მულტფილმს ნახავენ.



ქიმერიძეების გვარის ისტორიისათვის

საყოველტაოდ ცნობილია, რომ, დაახლოებით, ჩვ.წ-აღ-მდე 3-4 ათასი წლის წინ, სამხრეთ საქართველოში, ტაოს საზღვრებში, ჩამოყალიბდა განვიტარებული და მდიდარი ქართველ ტომთა გაერთიანება - სახელმწიფო დიაოხი,რომლის ჩრდილო ნაწილში მდებარეობდა სოფელი ახალდაბა.

დიაოხის მეზობელი ქვეყნები ასურეთი და ურარტუ ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ დიაოხის სიმდიდრეები და ტერიტორია.ამავე პერიოდში, ჯავახეთის მხრიდან, დიაოხს მიადგა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული მომთაბარე, ნახევრად ველური კიმერიელების ტომი. როდესაც ასირიელები და ურარტუელები თავს დაესხნენ დიაოხს, კიმერიელებმაც მიიღეს მონაწილეობა დიაოხის ძარცვა-ულეტვაში. მათთან წინააღმდეგობის გაწევისას ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. მოსახლეობის ნაწილი დაიხოცა ბრძოლებში, ნაწილი ტყვედ ჩავარდა, ხოლო მცირე ნაწილმა თავს უშველა ტყეებში გაფანტვით. დიაოხმა შეწყვიტა არსებობა.

ჩვ. წ-აღ-მდე მერვე საუკუნეში კიმერიელების ტომი დაიშალა. ზოგი მათგანი დასახლდა მცირე აზიის ქვეყნებში, ზოგი კი საქართველოში. კიმერიელების ერთი ნაწილი(ალბათ დინასტია) დასახლდა ბორჯომის ხეობაში მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ახალდაბიდან 3 კმ-ში და სოფელს დაარქვეს ქიმერეთი. მათი ძირითადი საქმიანობა იყო ნადირობა, მეთევზეობა და სოფლის მეურნეობა. დროთა განმავლობაში, კიმერიელები დანათესავდნენ ქართველებთან, გაქართველდნენ და გვარიც თავიანთი ტომის პატივსაცემად, ქიმერიძეები დაიწერეს.

323 წლის პირველ ივნისს, ჯავახეთის მხრიდან, საქართველოში, შემობრძანდა წმინდა ნინო კაბადოკიელი. ის ესტუმრა ფარავნის ტბასთან მდებარე სოფელ ფოკას, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდად დაინტერესა თავისი ქადაგებით მართლმადიდებლობაზე, ისეო ქრისტეზე, მოციქულებზე და ა.შ. მათ დიდი პატივისცემით გააცილეს წმ. ნინო ქართლისკენ.

ამჟამად, სოფელ ფოკაში, პირველ ივნისს(ნინოობა), წმ. ნინოს საქართველოში შემობრძანების აღსანიშნავად ტარდება წირვა. წირვის შემდეგ, მორწმუნეები იწყებენ ფეხით მსვლელობას იმ გზის ნაწილზე, რომელზეც წმ. ნინომ ქართლის გასაქრისტიანებლად გაიარა.

ასევე, 323 წლის ივლისში, სოფელ ქიმერეთსაც ეწვია მგზავრობით დაღლილი წმ. ნინო, სტუმართმოყვარე ქიმერიძეებმა, ქართული ტრადიციებისამებრ, მიიღეს კაბადოკიელი წმინდა ქალწული, რომელმაც მასპინძლებს დეტალურად მოუყვა საქართველოში თავისი ვიზიტის შესახებ. მეორე დღეს,ქიმერიძეებმაც დიდი პატივით გააცილეს ძვირფასი სტუმარი ქართლისაკენ, დაკისრებული მისიის შესასრულებლად.

მცხეთში ჩასვლის შემდეგ, წმ. ნინოს ქადაგების შედეგად მოქცეულმა ქართლის მეფე მერიანმა, გასცა ბრძანება საქართველოში მართლმადიდებლური რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ. ეს ამბავი ქიმერეთელებმა გაიგეს საქარავნო გზით გამვლელი ვაჭრებისგან და მათივე რეკომენდაციით, სოფლის ცენტრში ააშენეს პატარა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია,ალბათ,ერთ-ერთი პირველი საქართველოში და გაქრისტიანდნენ.

ბორჯომის ზეობაში მეტნაკლებად მშვიდობიანი ცხოვრება გაგრძელდა 731 წლამდე, ანუ არაბების შემოსევამდე მურვან-ყრუს მეთაურობით, რომელმაც გასცა ბრძანება ეკელსია-მონასტრების და ციხეების დანგრევის და მოსახლეობის ამოხოცვის შესახებ. მისი მხედრები პირნათლად ასრულებდნენ მეთაურის ბრძანებებს. ისინი არც ბავშვებს ინდობდნენ. გიორგი მერჩულე თავის წიგნში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ არაბების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს, გავერანებულ და უდაბნოდქცეულად იხსენიებს.

არაბების შემოსევის პერიოდში, ჯავახეთის ზეგანზე არსებობდა გაუვალი ნაძვნარ-ფიჭვნარ-მუხნარი ტყეები, სადაც იქ მცხოვრები მოსახლეობა თავს აფარებდა და იქიდან თავს ესხმოდა დამპყრობლებს. არაბებმა ტყეებს წაუკიდეს ცეცხლი მრავალ ადგილას. ხანძარმა გადაურა ჯავახეთის მთელ ტერიტორიას,ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული გახდა მიეტოვებინა იქაურობა და თავი შეეფარებინა ახლომდებარე ატენის, გუჯარეთის, ძამის და ნედვის ხეობებისათვის. გახიზნული მოსახლეობა ხეობებში სახლდებოა გაფანტულად,ერთეულ ოჯახებად. ეს იყო მოსახლეობის გადარჩენის ერთადერთი გამოსავალი. ამის დსტურია ისიც,რომ ნედვის ხეობაში მონადირეების მიერ აღმოჩენილია რამდენიმე ათეული უძველესი ნასახლარის ნაშთები.

ჯავახეთის „ყდაბნოდ ქცევის“ შემდეგ, არაბთა ლაშქარი დაიძრა ქართლისკენ საქარავნო გზით, რომელიც გადადიოდა ქიმერეთზე.

ქიმერეთელები გაიგებდნენ რა არაბების საშინელ ქმედებებზე და მიიღებდნენ სწორ გადაწყვეტილებას, სოფელს გადაწვავდნენ და გაიხიზნებოდნენ მთაში (ფოთოლეთში). ხელუხლებლად დატოვებდნენ მხოლოდ წმინდა ტაძარს.

ფოთოლეთის მონასტერმა და ნედვის „ლავრამ“, უდიდესი როლი შეასრულა მართლმადიდებლობის განმტკიცებაში. ეკლესიის ზარებმა და იქ მოღვაწე სასულიერო პირებმა,მოიზიდეს ნედვის და მტკვრის ხეობებში გაფანტული მოსახლეობა. ნედვის მონასტრის ირგვლივ ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი სოფელი, ხოლო ფოთოლეთის მონასტერში მოღვაწე წმინდა მამებმა ხელი შეუწყვეს არამარტო ტყეებში გაფანტული მოსახლეობის მობილიზებას, არამედ სოფელ ახალდაბის ისეთ დონეზე აღორძინებას, რომ დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი ახალდაბას ქალაქად მოიხსენიებდა. ის წერდა: „არს ახალდაბა მცირე ქალაქი მტკვრის ამიერ-იმიერ,მოსახლენი ქართველნი და ურიანი,აქ არს ხიდი მტკიცე, ახალდაბის სამხრეთით არს ციხე მაღალსა კლდესა ზედა, ხევი ნაზვისა, გამოდის ამას და მთას იქით შუას მთას“.

ზემოხსენებული მონასტრების ნაყოფიერი საქმიანობა გაგრძელდა 1393 წალმდე, ანუ მონღოლთა ურდოების შემოსევამდე. თემურ-ლენგის ჯარმა ორ თვეში „გააუდაბნოა“ სამცხე-ჯავახეთი. ახალდაბაში დაანგრია ეკლესიები და სტრატეგიული ობიექტები, მათ შორის ფოთოლეთისა და ნედვის მონასტრები. ამოხოცა მოსახლეობა და სასულიერო პირები. შემდეგ კი საქარავნო გზით(მტკვრის ხეობა) გეზი თბილისისკენ აიღო.

2008 წელს, ფოთოლეთის მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილია დაახლოებით 100 მოკლული ადამიანის თავების სამარხი. ზუსტად ასეთივე სამარხი აღმოჩენილია ნედვის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის გაფართოების დროს 1975 წერლს,ტრაქტორისტ არტაშა ჩადუნელის მიერ.

ზემოთ მოყვანილი ანალოგიის საფუძველის შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ეს ტრაგიკული ქმედებები ჩადენილია ერთსა და იმავე პერიოდში, ანუ თემურ-ლენგის ჯარის მიერ, 828 წლის წინ(1393 წელს).

მიხეილ ზედელაშვილი

ერეკლე და სხვანი

ვინმეს ან რაიმეს საზიანოდ შეგნებულად ჩადენილი ბოროტება, ასეთი განმარტება აქვს ღალატს. ვეცადე, მაგრამ ამ ფორმულას ვეერ მოვარგე ერეკლე მეფის ცხოვრება და მოღვაწობა, თუმცა, ყველას თავისი აზრი და შეფასების კრიტერიუმები აქვს .

ქვემოთ მოვიტან რამდენიმე ფაქტს მეფე ერეკლეს ცხოვრებიდან, რომელიც ჩვენს რეგიონს უკავშირდება და რაც საშუალებას მოგვცემს, ვთქვათ, ეს ადამიანი შეიძლება თუ არა მოღალატე ყოფილიყო.

მოდი მოვუსმინოთ ქაიხოსრო მურვანიშვილს, სურამელ აზნაურს, რომელიც ორმოცდათხუთმეტი წელი იბრძოდა ერეკლეს გვერდით და ჯაბადარის (საჭურჭლთმტვირთველის) და ყაზახის მოურავის თანაშემწის თანამდებობა ეკავა.

ყველა სახელოვან ომში მის გვერდით ვიყავიო, წერს ქაიხოსრო და აღწერს ომების ძირითად პერიპეტიებს ..

აზატხანთან ომში სამი ათასი მეომრით, უზარბაზნოდ, თვარამეტი ათასი კაცი დაამარცხეს.

მჭადიჯვართან ავარიის ხანის რვაათასიანი ჯარი მოსპეს მცირე რაზმით.

ხერთვისი აიღეს და მრავალი ოსმალო დახოცეს. ასპინძის ბრძოლაში ოსმალებისა და ლეკების ჯარზე გაიმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ „რუსები დაგვიბრუნდნენ,არღა გვიშველეს“ თათრების ჯარი სულ მტკვარში ჩახოცეს, მეფე ერეკლემ კი მათი კოხტა ბელადი მოკლა თავისი ხელით.

ყვარელის ციხეზე ოცდაოთხი ათასი კაცით შემომდგარი ავარის ხანი სამასი კაცით გააქციეს.

ერეკლე მეფის გვერდით იყო ქაიხოსრო აღამაჰმადხანის წინააღმდეგ ომშიც და ბევრ სხვა ბრძოლებში, სულ ორმოცდაათი იქნებოდაო იგონებს იგი.

მუდმივ ბრძოლებში მყოფ ერეკლე მეფეს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროზე უწევდა ზრუნვა, სამართალი, ვაჭრობა , მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, საგარეო ურთიერთობები, წიგნის ბეჭდვა თუ თეატრის გახსნა. იგი იძულებული იყო, უწყვეტ რეჟიმში ემოღვაწა. ამასთან დაკავშირებით, ერთი მაგალითი მინდა მოვიტანო: საქართველოს ეროვნულ არქივში, კარბელაშვილების ფონდში, ინახება წერილი, ერეკლე მეფე წერს ოთარ მიმბაშს (ასისთავს), ქართლში მიმდინარე პროცესების შესახებ. წერილიდან კარგად ჩანს რომ მეფე სრულყოფილად ფლობს სიტუაციას, იძლევა დავალებებს და, სხვათა შორის, აღნიშნავს,--- ამ წერილს ცხენის კისერზე ვწერო. თითქოს ერთი ჩვეულებრივი ფრაზაა, მაგრამ რამდენის მთქმელი.

შეიძლება თუ არა, ასეთ მეფეზე ვთქვათ, რომ მან საქართველოსთან მიმართებაში შეგნებულად ჩაიდინა ბოროროტება. არა და არა! მისი მთელი ცხოვრება აბსოლუტურად საპირისპიროს მტკიცებულებაა.

დავით ჩადუნელი-ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წიგნადი ფონდის მცველი

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19)

ამ მხრივ გამონაკლისს არც ხაშური წარმოადგენდა. 1923 წლის 6 მარტს ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ეზოში თავი მოიყარა ხალხმა. „ფრიალებდა წითელი დროშები, უკრავდა მუსიკა. ორატორებმა ცოცხალი ფაქტებით ნათელჰყვეს „წმინდა მამების“ თვალთმაქცობა.

მიტინგის დასრულებისას ეკლესია დახურულ იქნა და მის მწვერვალზე ჯვრის ნაცვლად აღიმართა წითელი დროშის ვარსკვლავი”.

იმავე დღეს დაიკეტა ზემო ჭალის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია.

1923 წლის 14 ივნისს ხაშურის რაიონის აღმასკომმა განიხილა ხაშურის ეკლესიების კლუბებად გადაკეთების საკითხი. დადგენილებაში ჩაიწერა: „ხაშურის დიდი ეკლესია გადაკეთებული იქმნეს კარლ ლიბკნეხტის სახელობის კლუბათ და ყოფილი კლუბის ინვენტარი გამოყენებული ახალი კლუბის საჭიროებისათვის“

აღმასკომმა საკითხის „მოკლე ხნის განმავლობაში“ სისრულეში მოსაყვანად შექმნა სამკაციანი კომისია.

1924 წლის 15 თებერვალს აღმასკომი ამტკიცებს კომკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებას ხაშურის ეკლესიის გუმბათის მოხსნის თაობაზე. „უკანასკნელი წინადადება მიეცეს კომუნალურ განყოფილებას, რათა დიდი ეკლესიის გუმბათი იქნეს მოხსნილი საჩქაროდ.” –აღნიშნულია დადგენილებაში.

ზემო ჭალის ეკლესია ამავე პერიოდში გადააკეთეს კლუბად. 1924 წლის 22 მარტს აღმასკომის დადგენილებით ჭალის ეკლესიაში მოწყობილი კლუბი გადაეცა ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს.

როგორც ჩანს, მოსახლეობაში გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა ხელისუფლების მხრიდან ეკლესიების ხელაღებით დახურვა და კლუბებად გადაკეთება. ეს მაშინ ერთგვარი გამბედაობაც იყო. თუ რას ნიშნავდა ეს, კარგად ჩანს ზემო ჭალის ეკლესიის მაგალითიდანაც.

1924 წლის 12 აპრილს აღმასკომმა განიხილა ზემო ჭალის საბჭოს წევრების კოლია ჩიტაძის, გიორგი არბოლიშვილის და პავლე ჩაჩანიძის საკითხი. მათ ბრალდებოდათ „...აგიტაციის გაწევა-წინააღმდეგობა ჭალის ეკლესიის კლუბათ გადაკეთების შესახებ“. საკითხის განხილვის ინიციატორებად ჭალელი კომკავშირლები გვევლინებოდნენ, რომლებიც მოითხოვდნენ „ბოროტმოქმედების ჩადენისთვის“ ზემოთ ჩამოთვლილი პირების პასუხისმგებლობაში მიცემას.

აღმასკომმაც არ დააყოვნა და დააკმაყოფილა „ჭალის კომკავშირლების განცხადება“. დადგენილებაში ვკითხულობთ: „...მოხსნილ იქნენ საბჭოს წერილობიდან საბჭოს წევრი ჩიტაძე კოლია, არბოლიშვილი გიორგი და ჩაჩანიძე პავლე, როგორც გულგრილნი, შეუფერებელნი და პროვოკატორები. ჩამოერთვათ მათ მანდატები და ეცნობოს სოფელს, რომ იგინი მოხსნილნი არიან საბჭოს წევრობიდან. როგორც ასეთებს გამოეცხადოთ ზიზღი და საქმე მთელი წარმოებით გადაეცეს სახალხო სასამართლოს სათანადო მსჯავრის დასადებათ”.

თუ როგორ იდევნებოდნენ სამღვდელოების წარმომადგენლები ხაშურში, ამის ერთ-ერთი მაგალითია მღვდელ სიმონ სარალიძის ირგვლივ შექმნილი ვითარება. მართალია, საარქივო მასალებში არ ჩანს თუ რა ბედი ეწია ს. სარალიძეს, მაგრამ თვით ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის მიმართ, საინტერესოა:

1924 წლის 28 თებერვალს აღმასკომმა განიხილა ხაშურის ეკლესიის ყოფილი მღვდლის სვიმონ სარალიძის საქმიანობის საკითხი. გაირკვა, რომ: „იგი ეწევა ფარულ აგიტაციას სარწმუნოების სასარგებლოთ და სწევს პროვოკაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“.

საკმაოდ მძიმე ბრალდებაა.

აღმასკომმა დაადგინა: „მღვდელი სვიმონ სარალიძე, როგორც შემჩნეული ფარულ აგიტაციაში სარწმუნოების სასარგებლოთ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგობაში, იყვეს განდევნილი ხაშურის ფარგლებიდან სამუდამოთ“.

აღმასკომმა საჭიროდ ჩათვალა დადგენილების ასლი გადაგზავნოდა აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს, იქვე მიუთითებდა: „... ყოველივე გამოეცხადოს აღნიშნულ მღვდელ სარალიძეს ხელწერილის ქვეშ, რათა მან დატოვოს ხაშურის რაიონი ერთი კვირის განმავლობაში“

საქართველოს კპ გორის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის 26 მარტის დადგენილებით, ხაშურის რაიკომს წინადადება მიეცა. სამაზრო კომიტეტისათვის წარედგინა „...მღვდელ სარალიძის შესახებ ყოველგვარი მასალები უკანასკნელის კონტრრევოლუციის მოქმედების შესახებ“.

არქივში შემონახულია სიმონ სარალიძის ორი განცხადება და ერთი ხელწერილი, რომლებშიც კარგად ჩანს მისი “კონტრრევოლუციური” საქმიანობა. როგორც ჩანს, 6 მარტს, რაისაბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება ს. სარალიძის ხაშურიდან გასახლების შესახებ. მას გადაწყვეტილება 14 მარტს გააცნეს და ხელწერილიც ჩამოართვეს, რომ დაემორჩილებოდა მას და სისრულეში მოიყვანდა მის მიმართ გამოტანილ განაჩენს:

„1924 წლის მარტის 14 დღესა, მე ქვემორე ამის ხელის მომწერელს მღვდელს სიმონ სარალიძეს დღეის რიცხვს გამომეცხადა ხაშურის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების შინაარსი... და ვალდებული ვარ დადგენილებას დავემორჩილო და მოვიყვანო სისრულეში ერთი კვირის განმავლობაში... წინააღმდეგ შემთხვევაში ვაგო პასუხი აღმასკომის წინაშე და ვიქმნე დასჯილი სისხლის სამართლის ძალით, რაზედაც ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ“.

მაინც რა ედებოდა ბრალად ს. სარალიძეს?

16 მარტს ს. სარალიძემ თხოვნით მიმართა ხაშურის აღმასრულებელ კომიტეტს. თხოვნაში კარგად ჩანს მისი „კონტრრევოლუციური“ საქმიანობა, ასევე ხელისუფლების დამოკიდებულება მისდამი.

„თითქმის ერთი წელიწადია, - აღნიშნავს ს. სარალიძე, – რაც ეკლესია აღარ მაქვს და ადგილობრივ კომპარტიისა და ხელისუფლებისგან მეძლეოდა წინადადება დამენებებინა თავი მღვდლობისთვის და შევსულიყავი სამოქალაქო სამსახურში. მაგრამ მე 51 წლის კაცს, რომელსაც 23 წელი მღვდლობაში გამიტარებია, სინდისი არ მაძლევს ნებას მღვდლობის ხარისხს თავი გავანებო. ამას გარდა, შარშან გადატანილ საშინელ ტიფის შემდეგ თვალთა-მხედველობა დამაკლდა და სამსახური ჩემთვის საძნელოა. შემიძლია მხოლოდ მღვდელ-მოქმედება და მსურდა გადავსულიყავი იქ, სადაც ეკლესიაც არის და მღვდელ-მოქმედებაც. ამ წელში მქონდა რამოდენიმე შემთხვევა ჩემი სასულიერო მთავრობის წინადადებისამებრ გადავსულიყავი დროებით მაინც, მაგრამ ჩემი ცუდი ოჯახური პირობები ამის ნებას არ მაძლევდა... ასეთი ოჯახური მდგომარეობის გამო ვცდილობდი და ვცდილობ, ან სიტყვით, ან საქმით, არ დავიმსახურო ადგილობრივი ხელისუფლების რისხვა, მაგრამ როგორც სჩანს, ჩემს ლოიალობას და კეთილგანწყობილებას მუქთად ჩაუვლია და ბოლოს კიდევ მავიწროვებენ.

ვთხოვ აღმასკომის პრეზიდიუმს მიიღოს მხედველობაში ჩემი ზემოხსენებული ოჯახური მდგომარეობა და იშუამდგომლოს ვისთანაც და სადაც ჯერ არს, არ მოიყვანოთ სისრულეში 6 მარტს მიღებული ჩემს შესახებ დადგენილება და არ მომაშოროთ ოჯახს“.

ს. სარალიძემ 19 მარტს ახალი განცხადებით მიმართა აღმასკომს. განცხადებაში რომელშიც იგი განმარტავს თუ რატომ შეიძლებოდა აღმასკომს მიეღო 6 მარტის დადგენილება მისი ხაშურიდან გასახლების შესახებ. მასში ნათქვამია:

„6 მარტი დადგენილება ჩემს შესახებ გამოწვეულია უბრალო შემთხვევითი გაუგებრობით. ზემო ჭალის წარმომადგენლები ეკლესიის გახსნის შესახებ, როცა ჩასულან გორში, იქ მათ დახმარებიათ ჩემი მოგვარე მღვდელი, ვინმე სარალიძე, როგორც მდივანი საეპარქიო კანცელარიისა და მას სხვათა შორის ეთქვა მათთვის, რომ მან გახსნა ეკლესია ბორჯომში და თვითონ ის მიდის იქ მღვდლათო, ეცადეთო და თქვენც მოგეცემათო. ისინი ალბათ, რომ დაბრუნდებოდნენ, ილაპარაკებდნენ, რომ გორში მღვდელმა სარალიძემ /სახელი არ ეცოდინებოდათ/ დიდი დახმარება მოგვცაო. გაიგებდა ვინმე და ჩემზე გაიფიქრებდა. ის მღვდელი დღეს ბორჯომშია“.

1924 წლის 21 მაისს ხაშურის რაიკომის მდივანი აღმასკომიდან მოითხოვდა სამაზრო აღმასკომის დადგენილების საფუძველზე წარეგდინათ მღვდელ სარალიძის შესახებ „...ყოველგვარი მასალები მის კონტრ-რევოლუციურ მოქმედებებზედ“.

უფრო ადრე, 7 აპრილს სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სარალიძის საკითხი განუხილავს ხაშურის რაიკომის პლენუმის გაფართოებულ სხდომას და რეაგირებისათვის მთელი მასალა გადაუცია ხაშურის აღმასკომისათვის. (იქვე, ფურცელი 2).

ს. სარალიძის ამ განცხადებიდან კარგად ჩანს, თუ რა მცირე, პატარა გაუგებრობა იყო საკმარისი, რომ სამღვდელოების მიმართ გარკვეული რეპრესიები გაეტარებინათ. რა ბედი ეწია მღვდელს სარალიძეს ეს ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ მოახლოებულმა აგვისტოს აჯანყებამ, რომ არაერთი სასულიერო პირი შეიწირა ეს ფაქტია. მარტო გორის მაზრაში დახვრეტილ იქნა 29 მღვდელი, მათ შორის ხაშურის რაიონიდან დახვრიტეს იოსებ ბებიაშვილი, სერგი გელაშვილი და სხვები.

1924 წლის აგვისტოს ბოლოს საქართველოში მოხდა ცნობილი ანტისაბჭოთა აჯანყება, რომელიც მარცხით დამთავრდა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ მძიმე რეპრესიებს ვერც ხაშური ასცდა. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოში აქ სიწყნარე სუფევდა და გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, უფრო მეტიც, ადგილობრივ ხელისუფლებას „მოთავებული“ ჰქონდა საქმე ქალაქსა და რაიონში ანტისაბჭოთა პარტიებთან და ძალებთან. ყოფილი მენშევიკები ახლა უკვე თავად გმობდნენ მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის საქმიანობასა და მოქმედებას.

1924 წლის 5 აგვისტოს რკინიგზს მუშათა კლუბში გაიმართა ყოფილ მენშევიკთა კრება, რომლის დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა - „ნოე ჟორდანიას წერილი და გაქცეული მენშევიკების გეგმები საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ“

მოხსენებით გამოვიდნენ ყოფილი მენშევიკები აკაკი ჭყონია და სანდრო ფარნიევი, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ნ. ჟორდანიას წერილის შინაარსი. „მათ აღნიშნეს აგრეთვე, თუ რას აკეთებდა მენშევიკების ცეკა და გადაშალეს მენშევიკების საზიზღარი მოქმედება საბჭოთა ხელისსუფლების წინააღმდეგ”.

კრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გმობდნენ „...მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას, მუშები აღუთქვამენ საბჭოთა ხელისუფლებას პირველივე მოწოდებისთანავე დაიცვან მუშათა კლასის, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი “.

კრების საერთო პათოსი ასეთი იყო: „ხაშურის რაიონის მშრომელმა მასამ კიდევ ერთი ღირსეული პასუხი გასცა მენშევიკების მოღალატურ ღვაწლს“

ხაშურის რაიონის ხელისუფლებას ჰქონდა რა ინფორმაცია საქართველოში აჯანყების მზადების შესახებ, მისი დაწყებისთანავე აქტიურ ზომებს ღებულობს რაიონში რაიმე გართულებას ადგილი რომ არ ჰქონოდა. როგორც ხაშურელ რევოლუციონერთა მოგონებებიდან ჩანს, ხაშურიდან შეიარაღებული ძალები მონაწილეობას ღებულობენ ჭიათურაში, საჩხერეში და სხვა ადგილებში ე.წ. მენშევიკების ავანტურის ჩახშობაში.

მოვუსმინოთ თვით ხაშურელ რევოლუციონერებს და ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს.

ნიკოლოზ ბაბიაშვილი: „1924 წელს ლაშქარაშვილის და ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით ახალქალაქის მიდამოებში მოახდინეს დარბევა. მე და ჩემი ამხანაგები მათ დასასჯელად მიგვავლინეს. ვიყავით მე, არჩილ წეველიძე, პეტრე ხოლუაშვილი, მიხეილ ბაბიაშვილი, სტეფანე გაგლოშვილი, ალექსანდრე ბიჭიკაშვილი და სხვები. დანიშნულ ადგილზე ჩვენ დავაპატიმრეთ დამრბევნი და გორში ჩამოვიყვანეთ“..

არ არის გამორიცხული, რომ ხაშურელების მიერ დაპატიმრებულებიც იყვნენ იმ 400 კაცში, რომლებიც გორში დახვრიტეს. ვინ იცის. გორში ხომ დახვრეტილ იქნენ ყველანი, ვისი დატუსაღებაც კი მოასწრეს.

იოსებ ფანქველაშვილი: „1924 წელს აქტიური მონაწილეობა მივიღე მენშევიკების ავანტურის წინააღმდეგ. ძველ პარტიელებთან ერთად, რომლებიც იყვნენ მიხეილ ქიტიაშვილი, მიხეილ ხაჩიძე, მიხეილ გელაშვილი და სხვები, მეც იარაღი მეჭირა ხელში და ვიცავდით ხაშურს ავანტურისაგან. ვიმყოფებოდით სურამის უღელტეხილზე. ვშიშობდით, რომ ავანტურა, რომელიც ჭიათურაში მოაწყვეს მენშევიკების ნაძირალებმა, არ გავრცელებულიყო, ამიტომ ყველა მიმართულებით ჩავკეტეთ გზები. მე და ილო მაისურაძემ ღამით შევიპყარით სოფ. ჯაფინაურში მცხოვრები ექთანი ნინა მურვანიშვილი, რომელიც ჭიათურის ავანტურაში ღებულობდა მონაწილეობას“.

ნიკოლოზ ქალიაშვილი: „1924 წელს დავალებული მქონდა ავანტურისგან წიფის გვირაბის დაცვა“

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნა

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ორგანიზებით, სამუსიკო სკოლის დარბაზში, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, საბავშვო ბაღების აღმზრდელ-პედაგოგები, მშობლები, საზოგადოების წარმომადგენლები.

კონფერენცია გახსნა საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა ლელა გელაშვილმა. მომხსენებლებმა ისაუბრეს საბავშვო ბაღების საქმიანობაში მშობელთა ჩართულობის (წრომის საბავშვო ბაღის დირექტორი მანანა

გოდელაშვილი), ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში საბავშვო ბაღების როლის (მეორე საბავშვო ბაღის დირექტორი თამარ ხომერიკი), ინკლუზიური განათლებისა და რეაბილიტაცია-აბილიტაციის (საბავშვო ბაღების გაერთიანების მთავარი სპეციალისტი მანანა ბერაია), კვებისა და ჰიგიენის (მე-6 საბავშვო ბაღის დირექტორი თეა ჭავჭავაძე) საკითხებზე. გამომსვლელებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს საუკეთესო პრაქტიკა (მე-7 ბაღის აღმზრდელი ნინო თოთლაძე), ისაუბრეს ალტერნატიული ბაღის სტანდარტულ ბაღად გარდაქმნის პროცესზე (მე-14 საბავშვო ბაღის დირექტორი მაია ნინიაშვილი), ასევე განიხილეს საბავშვო ბაღი მშობლის პერსპექტივიდან (გია ჩხიტუნიძის მშობელი ირინე ფერაძე).

კონფერენციას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს თენგიზ ჩიტიაშვილმა და ნინო ლიპარტელიანმა. მათ მადლობა გადაუხადეს საბავშვო ბაღების პერსონალს მომავალი თაობების სამსახურში გაწეული მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის. კონფერენციას მიესალმნენ ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის პედაგოგი მანანა აბაზაძე და შსს-ს წარმომადგენელი მაია წკრიალაშვილი.

იმ დღესვე,ხაშურის მე-5საბავშვო ბაღის ბაზაზე,რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრი გაიხსნა, რომელიც საწყის ეტაპზე 20 ბენეფიციარს მოემსახურება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ხაშურის ცენტრალურ პარკში საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მიერ მომზადებული სახალისო აქტივობებსაც შეუერთდნენ.

პატარებს დღესასწაული ანიმატორებმა გაულამაზეს. ჩატარდა თოჯინების თეატრის სპექტაკლიც.

ღონისძიებები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და კულტურის ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით გაიმართა.

კინოთეატრმა "კავეამ" საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ პატარებს უმასპინძლა

სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივითა და რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიების ორგანიზებით, კინოთეატრების ქსელმა "კავეამ" საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ პატარებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ანიმაციურ ფილმზე უმასპინძლა, „თბილისი მოლის", „ისთ ფოინთისა" და „სითი მოლის" "კავეას" კინოთეატრებში ხაშურის, ქარელის, კასპისა და გორის მუნიციპალიტეტების საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებმა პატარებმა ანიმაციური ფილმები -"ზღარბი სონიკი" და "წითელი პანდა" ნახეს.

ფილმის დაწყებამდე შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე აბელ აბესაძე და გორის მუნიციპალიტეტის მერი ლადო ხინჩეგაშვილი ბავშვებს შეხვდნენ, ბავშვთა დაცვის დღე მიულოცეს და ბედნიერი ბავშვობა უსურვეს.

"ბავშვები იმსახურებენ ყველაფერ საუკეთესოს, ამიტომ, 1 ივნისთან დაკავშირებით, დაიგეგმა დღევანდელი ღონისძიებაც. მადლობას ვუხდი კინოთეატრების ქსელ "კავეას" თანამშრომლობისთვის და გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობისთვის. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობა, მითუფრო, როდესაც საკითხი ბავშვების კეთილდღეობას ეხება. ვულოცავ თითოეულ ბავშვს და განსაკუთრებით, შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრებ ბავშვებს დღევანდელ დღეს, ლაღ ბავშვობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ" - აღნიშნა რწმუნებულის მოადგილემ აბელ აბესაძემ.

მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები

ძვირფასო მეგობრებო, ზემო სერის ტყე-პარკი უფროსი თაობის ყველა ხაშურელის მეხსიერებაში საპატიო და სასიამოვნო ადგილს იკავებს, როგორც ულამაზესი ადგილი დასვენებისა და გართობისთვის. შესაბამისად, მისი აღდგენა ხაშურის მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობის სურვილია. მუნიციპალიტეტი გეგმავს ტყე-პარკის რეაბილიტაციას.

მიმდინარე წელს სამუშაოების პირველი ეტაპის განხორციელება იგეგმება. პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება და საბოლოოდ, ტყე-პარკი კვლავ გადაიქცევა ხაშურელთათვის საყვარელ ადგილად დასვენებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის რეალიზაციისთვის.

გამოქვეყნებული ფოტომასალით გთავაზობთ ზემო სერის ტყე-პარკის სარეაბილიტაციო გეგმის მონახაზს.

მუნიციპალიტეტი სიამოვნებით მიიღებს თქვენს მოსაზრებებს, რეკომენდაციებს და იდეებს არსებული მონახაზის შეცვლასთან ან გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, იაქტიურეთ, გამოხატეთ აზრი კომენტარებში, ან მოგვაწოდეთ მოსაზრებები ოფიციალურ ელფოსტაზე: info@khashuri.gov.ge

- ფეხბურთი -

„ივერია“ ივერიაზე დაბრუნდა

დასრულდა ლოდინი, რომელიც ორათეულ წელზე მეტი გაიწელა, დასრულდა იმაზე ფიქრი და, თუ გნებავთ, დარდიც, რომ ისეთი ტრადიციების მქონე გუნდს, როგორიც ხაშურის "ივერიაა", საკუთარი სტადიონი არ გააჩნდა. არადა, ტრადიციას, რომელსაც საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მართლაც არ ეკადრებოდა საფეხბურთო მოედნის გარეშე ყოფნა. პირველი სიხარულის სხივი ამ ხუთიოდე წლის წინ გამოჩნდა, როდესაც დაანონსდა, რომ "ივერიას" ახალი სტადიონი ექნებოდა. ადგილობრივი ხელისუფლების მცდელობამ, რომელსაც მთავრობის და ფეხბურთის ფედერაციეს თანადგომაც დაერთო, საბოლოოდ შედეგიც გამოიღო და ხაშურმა, "ივრიამ" და თითოეულმა ჩვენგანმა მიიღო ულამაზესი და თანამედროვე სტანდარტებს მორგებული სტადიონი. მართალია, მისი ოფიციალური გახსნა, ფეხბურთის ფედერაციის თხოვნით, სანაკრებო თამაშების შემდეგ(ივლისის მეორე ნახევარში) გადაიდო, მაგრამ ის, რაც პირველ ივნისს ტადიონზე ხდებოდა, მართლაც ერთ რამედ ღირდა. საფეხბურთო ზეიმს ისე ყოფილა ჩვენი ქალქი მონატრებული, რომ იმ

დღეს, ხაშურში, რომაული გამოთქმის ინტერპრეტაცია რომ ვიხმაროთ, ყველა გზა სტადიონისკენ მიდიოდა. ფეხბურთის ნამდვილ გულშემატკივრებს რომ თავი დავანებოთ, იქეთ მიემართებოდა დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. ეს იყო ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი-სავსე ტრიბუნებით, ამაღლებული განწყობით და რაც მთავარია, ჩვენი გუნდის საოცარი თამაშით.

"ივერია" წელს, რეგიონ ლიგაში ასპარეზობს. გეთანხმებით, რომ ჩვენს საფეხბურთო ტრადიციებს არ შეესაბამება ეს ლიგა, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა და მოცემულობა ასეთია და გვინდა, დავიჯეროთ, რომ იმ ზღაპრული ფენიქსივით, "ივერიაც" აღდგება ფერფლიდან და ძველ ნიშნულს დაუბრუნდება, ამის ნიშნები კი აშკარაა, პირველ რიგში, ადგილობრივი ხელისუფლების უზომო ინტერესი ამისადმი, მეორე-შესანიშნავი სტადიონი და მესამე და მთავარი: მშვენიერი ახალგაზრდული გუნდი, რომელსაც უკვე მოტივაციაც გააჩნია და ამბიციაც. რა თქმა უნდა, უპირველესად, ამის მიღწევა ფინანსებზე იქნება დამოკიდებული და სწორედ აქაა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის უდიდესი როლი, რომლებიც ხმამაღლა აცხადებენ, რომ ფინანსებს აუცილებლად მოიძიებენ და "ივერიას" წინსვლაში დაეხმარებიან. წინაპირობა კი უკვე არის ხაშურში ფეხბურთის განვითარების ფონდის შექმნით, რომელშიც მრავალი ადგილობრივი ბიზნესმენი გაერთიანდა და მზად არიან, გუნდს გვერდში დაუდგნენ. რაც შეეხება თვითონ მატჩს, იგი მართლაც სანახაობრივი გამოვიდა, სწორედ ისეთი, ნამდვილ ზეიმს რომ შეეფერება. "ივერია" გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს მასპინძლობდა-თბილისის "ვარკეთილს". მოგების შემთხვევაში კი "ივერია" ხდებოდა ლიდერი. პირველი წუთები ჩვენმა გუნდმა, მეორე ნომრად დაიწყო თამაში, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ეს ტაქტიკის ნაწილი იყო, სადღაც 15 წუთიდან თამაში გათანაბრდა და ამის შემდეგ, უკვე "ივერია" გადავიდა მასირებულ შეტევაზე. ტრიბუნების უზომო მხარდაჭერის შემდეგ, პირველი მოსავალიც მოვიმკეთ: ნიკა ივანაშვილმა 25-27 მეტრიდან ისე გაისროლა, მეკარე უძლური აღმოჩნდა , ბურთმა ჯერ მარჯვენა ძელი მოსინჯა და შემდეგ ბადეში გაეხვია1-0. რამდენიმე

მწვავე მომენტი კიდევ იყო ტაიმის დასრულებამდე, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორე ტაიმში იგივე სცენარი განმეორდა, "ივერია" ძირითადად უტევდა, სტუმრები კი კონტრშეტევებით პასუხობდნენ. რამდენჯერმე ბრწყინვალედ ითამაშა ჩვენმა მეკარემ ბორის დერევიაჩენკომ. თუმცა ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის შემდეგ, მაინც მიაღწიეს საწადელს და ანგარიში გათანაბრდა-1-1. სულ რამდენიმე წუთი იყო გასული და "ივერია" კვლავ წინ გავიდა. ტატო ჩადუნელმა მშვენიერი პასი მიიღო მარჯვენა ფლანგზე, ბურთიც დიდებულად დაამუშავა და შორეულ კუთხეში ჩააჭედა-2-1. ასე დასრულდა ეს მატჩი, თუმცა, ამის შემდეგაც არ დაშლილა მაყურებელი და კიდევ დიდხანს ისმოდა სტადიონიდან მონატრებული და მქუხარე შეძახილი-"ი-ვე-რი-ა","ი-ვე-რი-ა"...

დიახ, ზეიმი შედგა, თუმცა გვჯერა, წინ კიდევ ბევრი მსგავსი ზეიმები გველის. თუნდაც 15 ივლისს(სტადიონის გახსნის ოფიციალური ზეიმი, ალბათ, ამ თარიღის შემდეგ იქნება)-როდესაც "ივერია" გათამაშების პირველადგილოსანს თბილისის "გლდანს" მასპინძლობს. მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია და ერთი ლიდერი კი ჩამოვიშორეთ და ვითომ რა უჭირს, მეორეც რომ თავჩაქინდრული გავუშვათ ხაშურიდან?

არც არაფერი!

გ. გოგოლაძე

- თავისუფალი ჭიდაობა -

ოქრო და ვერცხლი ყვარელიდან

ყვარელში გამართულ დავით ფერიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე, 15 წლამდე ჭაბუკთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, ორმა ხაშურელმა ფალავანმა წარმატებით იასპარეზა.

ლევან ნოზაძემ 38 კ.გ. წონით კატეგორიაში ჩემპიონობა მოიპოვა.

გიორგი თედეშვილიმა 62 კ.გ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა.

ვუსურვოთ მათ მომავალშიც, დიდი წარმატება.

ამ შეჯიბრის მოგებით ლევან ნოზაძემ მოიპოვა საგზური რუმინეთის საერთაშორისო ტურნირისათვის, ნაკრები გუნდის შემადგენლობაში

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.